ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №383

ქ.ქუთაისი 25.09.2015 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 10' მუხლისა მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ერთის მხრივ, ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის შოთა მურღულიას სახით და მეორეს მხრივ, სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გოჩა ტუღუშის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ რა „საქართველოს მთავრობის დადგენილებით „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის N319 დადგენილებით (07.07.2015წ) და საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 10' მუხლისა მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება" სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში ხელშეკრულება) არის შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორს დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი" - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.6 „მსმენელი"– პირი, რომელიც სწავლობს სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან სატრენინგო მომსახურების (CPV 80500000) შესყიდვა. კერძოდ სკოლის მიერ ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლების ნანა აბესაძის (პ/ნ 53001016063), დიმიტრი კუტივაძის (პ/ნ 60002015101) და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომლის დავით ჭიჭინაძის (პ/ნ 60001000519) გადამზადება კვალიფიკაციის ამაღლება „საჯარო მმართველობა და ადმინისტრირების პროგრამის" ფარგლებში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1899 (ერთი ათას რვაას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარს;

3.2 მომსახურების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

4.1.1. სასწავლო პროგრამის "საჯარო მმართველობა და ადმინისტრირების" დარგობრივი კურსის ფინანსური მენეჯმენტი და შიდა აუდიტის" ტრენინგის ორგანიზება და ჩატარება 2015 წლის 28 სექტემბრიდან 28 ოქტომბრის ჩათვლით (ტრენინგის ხანგრძლივობა – 200 აკადემიური საათი) სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის ადმინისტრირების სკოლაში – ქ. ქუთაისი, ნიკეას ქუჩა N 13;

4.1.2 მსმენელი სასწავლო პროგრამის თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი განათლებისა და უნარ-ჩვევების მიღების შესაძლებლობით;

4.1.3. მსმენელი შესაბამისი სასწავლო მასალითა და მატერიალურ–ტექნიკური ბაზით;

4.1.4. სასწავლო კურსის სპეციფიკით გათვალისწინებული,სკოლის დირექტორის ბრძანებით დადგენილი, მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის შემთხვევაში, მსმენელზე შესაბამისი კურსის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატის გაცემა.

4.2.შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1.სასწავლო პროცესის დასასრულს უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების სრულად ანაზღაურება, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მსმენელი ვერ დაასრულებს სწავლების პროცესს;

4.2.2.განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. მომსახურების ჩაბარების წესი

5.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება - ჩაბარების აქტის სახით. მიღება - ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა ხელმოწერით. (მიღება–ჩაბარების აქტზე მუნიციპალიტეტის მხრიდან ხელმოწერა ხორციელდება უშუალოდ იმ პირის მიერ ვისთვისაც ხდება მომსახურების შესყიდვა და დამტკიცებას ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.)

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

6.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას განახორციელოს 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების ღირებულების სრული გადახდა, მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის 4.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

7.2 წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

7.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოსთხოვოს მხარეს ზიანის (პირგასამტეხლოს გათვალისწინებით) ანაზღაურება.

7.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

8.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9. დავების გადაწყვეტა

9.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი დავა წყდება შეთანხმების გზით.

9.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას გადაწყვიტავს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისგან.
10.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს - მაჟორი

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს - მაჟორული მდგომარეობით.
11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს - მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მომწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით.
11.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს - მაჟორული გარემოება, დაუყონებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

12. მომსახურების მიწოდების და ხელშეკრულების მოქმედების ვადები

12.1 შესყიდვის ობიექტის/მომსახურების მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2015 წლის 28 ოქტომბრის ჩათვლით.
12.2 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მოწერის დღიდან 2015 წლის 29 ნოემბრამდე.

13. სხვა პირობები

13.1.ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე - შემსყიდველს.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია	სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრერების სკოლა
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. #3	მის: ქუთაისი.ნიკეას ქ. N13
ს/კოდი: 212721170	ს/კ 212852055
მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში	ხაზინის ერთიანი ანგარიში
ქ. თბილისი „სახელმწიფო ხაზინა"	ბანკის კოდი: TRESGE22
ბ/კოდი: TRESGE22; ა/ა 200122900	ა/ნ: 707697119
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი	დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:
შოთა შურღულია	გოჩა ტულუში